ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 8 სექტემბერი № 1576

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი №372.

საზოგადოების საყურადღებოდ

ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობის **კიოსკი** შეკეთების შემდეგ უკვე **გაიხსნა** და ვისაც წიგნების ყიდვა ჰსურს, ვთხოვთ მობრძანდნენ—ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—1)

კვირას, 9 სექტემბ **ქართული თეატრი** ბერს 1901 წელს.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქ. თხზულება გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარკარეთელი, ლეჟავა, მდივანი, აბხაზიშვილი; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა იქმნება 16 სექტემბერს: მზადდება ახალი პიესა **„პატიოსნება“** ზუდერმანისა.

კბილის საექიმო კაბინეტი
ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ ქმაწვილებს ზემდეგმრის და იუნკრის სკოლებისთვისაც. (16—15)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზე, № 13. ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинскій переулокъ) მახლობლად. (5—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ღებულობს ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

უავგუსტოესის სტუმრების მობრძანება ტფილისში

გუშინ, საღამოს 5 საათსა და 40 წუთზე, საგანგებო მატარებლით ჩამობრძანდნენ ბორჯომიდან ტფილისში უავგუსტოესი სტუმრები: მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, მისი უმაღლესობა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მისი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე, მისი მეუღლე დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული, მათი ქალიშვილი ნინო გიორგის ასული, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმირის ასული და საბერძნეთის პრინცები მათი უმაღლესობანი ქრისტეფორე და ანდრია.

ტფილისის სადგური მშვენიერად იყო მორთული დროშებითა და მცენარეულობით. უავგუსტოეს სტუმრების შესახვედრად სადგურზე იყვნენ: მისი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, კავკასიის მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენ-ლეიტ. ა. ა. ფრეზე, კორპუსების უფროსები ზეზემანი და თავ. ამირეჯიბი, ტფილისში მყოფი გენერლები, მთავარ მართებლის საბჭოს წევრები, ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ტფ. გუბერნატორი ი. ნ სვეჩინი, ტფ. ქალაქის თავი გ. გ. ევანგულოვი, ტფილისში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენელნი, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა მმართველნი და სხვა საპატიო პირნი.

კავკასიის მთავარ-მართებელი თ. გ. ს. გოლიცინი მიესალმა უავგუსტოეს სტუმართ. საბერძნეთის დედოფალს და დიდ მთავრინებს მარიამ გიორგის ასულს და ელენე ვლადიმირის ასულს თავ. მელიქიშვილმა და გ. გ. ევანგულოვმა თაიგულები მიართვეს.

სადგურიდან უავგუსტოესი სტუმრები ეტლებით წაბრძანდნენ მთავარ-მართებლის სასახლეში. ქუჩებში დიდძალი ხალხი იდგა და ესალმებოდა უავგუსტოეს სტუმართ. ქუჩების ორივე მხრივ ტფილისის ყველა სასწავლებელთა მოწაფენი იყვნენ გამწკრივებულნი, სახლები მორთული იყო რუსეთისა და საბერძნეთის დროშებით.

სასახლეში შეგროვდა ყველა სამხედრო წარჩინებული პირი, რომელთა დასწრებით მოხდა სადღესასწაულო გადაცემა ნიჟე-გოროდისა და სევერსკი პოლკებისათვის ახლად ნაბოძების ნიშნებისა, აღსანიშნავად პოლკების 200 წლის არსებობის იუბილეისა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

6 სექტემბერი.

კომპიენი. რუსეთის ხელმწიფე და დედოფალი მობრძანდნენ აქ პრეზიდენტის მატარებლით საღამოს 8 საათზე; ხალხი აღტაცებულის სახარულით მიეგება მათ. 340 კილომეტრის სივრცეზე მატარებლის ორსავე მხარეს დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა, რომელიც აღტაცებით სალამს აძლევდა უავგუსტოეს სტუმართ. გზაზე ყველა ქალაქები და სოფლებიც დროშებითაა მორთული. კომპიენი საუცხოვოდ არის მორთულ-მოკაზმული; მცხოვრებნი ბედნიერნი არიან მით, რომ სტუმრად ეწვიათ ძლევამოსილ მოკავშირე ერის მბრძანებელი.

დიუნკირხენი. ლუბემ წარმოსთქვა სიტყვა; ცოტაოდნად აღელვებული იყო. დედოფალმა მოწყალედ გაიღიმა, როდესაც ლუბემ მიჰმართა გრძნობიარის სიტყვით. ხელმწიფე იმპერატორმა აიღო ბაკალი და მტკიცედ და გარკვევით წარმოსთქვა თავისი სიტყვა.

დიუნკირხენი. „შტანდარტი“ მოადგა ნაპირს 1 საათზე და 35 წ. ხალხი აღტაცებით მიეგება. ლუბე, მთავრობის წევრნი რუსეთის ელჩი, დეპუტატები და სხვა საპატიო პირნი იქვე იყვნენ. პირველად ნაპირზე გადმობრძანდა დედოფალი, შემდეგ იმპერატორი. ლუბემ წარუდგინა მათ მინისტრები, რომელნიც მოწიწებით მიესალმნენ. ხალხი აღტაცებით ესალმება უავგუსტოეს სტუმრებს, რომელნიც ღიმილით თავს უკრავენ და მადლობას უთვლიან.

ფელეტონი

იტალიის მწერლობა საქართველოს შესახებ

ჩვენი და ჩვენის ქვეყნის გაცნობა იტალიელებმა (კათოლიკე მისიონერთა საშუალებით) ჯერ ისევ საშუალ საუკუნოებიდან დაიწყეს. იტალიურ ენაზე მე-XVII საუკუნეში დაიბეჭდა ვრცელი აღწერა სამეგრელოსი (ქართულად უკვე თარგმნილი) ცნობილ მისიონერის არქანჯელო ლამბერტისა, მისივე „საეკკლესიო ისტორია კოლხებისა ანუ მეგრელთა“ (sacra storia dei Colchi, Napoli 1657), იტალიურ-ქართული ლექსიკონი პაოლინისა და სხ. სამწუხაროდ, მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა კათოლიკე მისიონერებს საქართველოში ქართველთა შორის კათოლიკობის ქადაგება აეკრძალათ, ჩვენსა და იტალიელთა შორის კავშირი გაწყდა, და იტალიის მწერლობაში იმის აქედ ჩვენს შესახებ ხმას თითქმის არავინ იღებდა. მხოლოდ ხსენებულ საუკუნის უკანასკნელ წლიწადს ვხედავთ იტალიელთ მხრით მცირეოდენ ცდას ჩვენის ქვეყნის გასაცნობად. მე მოგახსენებთ იმ წიგნაკის შესახებ, რომელიც 1900 წელს რომში გამოვიდა და რომელიც შეიცავს კავკასიაში დ-რ გულელმო პასილის მოგზაურობის აღწერას D-r Guglelmo Passigli. Nel Caucaso Note di uiaggio. Rota, 1900. 28 გვერდი).

აზრი ბ-ნის პასილისა ყოფილა—რკინის გზით გაევლო კავკასიაზე შავი ზღვის კიდიდან თეთრის ზღვის კიდემდე და ამ ერთხელად გავლის დროის შთაბეჭდილება გაეზიარებინა თავის იტალიელ მკითხველთათვის.

მოგზაური ჩვენს ქვეყანაში, პირველად ბათუმში სდგამს ფეხსა და იქიდან რკინის გზის გაყოლებაზე ნახულს გაკვრით აგვიწერს. აღნიშნავს საზოგადოდ კავკასიას, როგორც სხვა-და-სხვა ერთა კალეიდოსკოპს და ამ კალეიდოსკოპში მას, როგორც მოსალოდნელიც იყო, ყველაზე მეტად ჰხიბლავს სიმშვენიერით სწორ-უპოვარი ტიპი ქართველისა, მისის სახლის წმინდა კლასიკური ნაკვთები, ახოვანება, სიკეკლუცე მიმოხვრისა, და ყველა ამის შემდეგ—ადვილად ასახსნელი ხდება მისთვის ქებათაქება ქართველ ქალის მსოფლიოდ განთქმულ სილამაზისა.

სამართლიანად აღტაცებულია მოგზაური სილამაზითა ჩვენებურ ქალთა, რომელნიც ერთ დროს მრავლად იყვნენ ოსმალეთის სულთანების და ფაშების ჰარამხანებში და ხელს უწყობდნენ თურქთა მონღოლიერ რასის გამშვენიერებას და წმინდა კავკასიურ ტიპად გადაქცევას. საინტერესო ის არის უფრო, რომ ქართველ ქალს აქებს იტალიელი მოგზაური, რომლის მამული და თანამემამულენი მთელს ქვეყანაზე სიმშვენიერით არიან განთქმულნი, და რომელსაც სხვათა სილამაზე აგრე ადვილად არ უნდა გაუკვირდეს. ნათქვამის დასამტკიცებლად ბ. ავტორს წიგნაკში ჩაურთავს სურათი ქართულად თავ-დახურულ მანდილოსნისა. მისი დიდებული, წმინდა მეფური გამომეტყველება სახისა სავსებით ეთანხმება ნათქვამს და მკითხველს ნათლად თვალ-წინ უდგება ჩვენებურის ქალის სილამაზე. სამწუხაროდ, ეგევე არ ითქმის მეორე სურათის შესახებ, რომელიც ავტორს მამაკაცის წარმოსადგენად ჩაურთავს თავისს წიგნში. დახატულია რუსი, ჩოხითა და ქამარ-სატევრით გამოწყობილი და ქვეშ უწერია georgiano (ქართველი). მართალია, წამოსადეგი სახისაა ისიც, მაგრამ საკმარისია დააკვირდეთ ოდნავ პაჭუა ცხვირს (წინააღმდეგ ქართველის სწორ და სურათ ცხვირისა) და ოდნავვე ცერად დახრილ თვალის ქუთუთოებს, რომ იცნოთ მონღოლთა რასის ჩამომავალი და არა—ქართველი, ეს წმინდა და თვალ-საჩინო წარმომადგენელი კავკასიის რასისა. ცხადია, მოგზაურის უნებლიეთის შეცდომის მიზეზი გამხდარა ტანისამოსი, რომელსაც, როგორც ვიცით, ეგრეთი დიდი გავლენა აქვს ხოლმე თვითონ პირისახის იერის გამოცვლაზე, რომ ხშირად დახელოვნებული თვალია საჭირო ერთის რასის მეორისაგან გასარჩევად.

იმერეთის თვალ-წარმტაც ბუნებისა და მუნებურ საუცხოვო ბანოვანთა ხილვის შემდეგ მოგზაური რკინის გზას გადაჰყავს ბაქოს მხარეს, სადაც მეტად მწირი ბუნება, გადახრაკული ველები, ულაზათო სახის მცხოვრებნი ასეთს კონტრასტს წარმოადგენენ იმერეთის როგორც ბუნებასა, ისე მკვიდრთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს კონტრასტი, ეს თვალ-საჩინო სხვა და სხვა-

ხალხს. მერმა პურ-მარილი მიართვა. ლუბემ მიაცილა მათი უდიდებულესობანი დანიშნულ ბინამდე. 2 საათსა და 45 წ. მათი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ ნადიმზე. ნადიმის შემდეგ მათი უდიდებულესობანი, პრეზიდენტი და ამალა მატარებლით წაბრძანდნენ კომპიენში.

რეიმსი. მთელი საფრანგეთი დღესასწაულობს ხელმწიფის მობრძანებას. პატრიოტული აღტაცება ყველას ავიწყებინებს შინაურ უთანხმოებას. ქალაქებში და დიუნკირხენში უმეტესად რუსული ემბლემები სჩანს. იყიდება მრავალი ბუტონიერები რუსეთის მეფე-დედოფლის სურათით. პარიზში რედაქციები გაჩირაღდნებულია. პრესსა ამბობს, რომ მას განსაკუთრებული გემი აქვს და ყველაზე ადრე მიესალმა სტუმრებს. ქუჩებზე ისმის სიმღერა, რომლით ადიდებენ რუსეთის ხელმწიფეს. გამართულია სახალხო ბაზრობა, რომლის შემოსავალი გადადებულია ჩინეთში დაჭრილ რუს და ფრანგ ჯარის კაცებისათვის; ყველა აღტაცებულია ტოსტებით, რომლებითაც დამტკიცდა, რომ საფრანგეთში რუსეთის ხელმწიფის ჩამოსვლა უმთავრესად მხედრობისა და ფლოტისათვის მოხდა. გუშინდელ წვიმიან დღის შემდეგ, დღეს ბრწყინვალე დღეა.

ხარკოვი. გუშინ დილით აქ ჩამოვიდა მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი. მას მიეგებნენ ეპისკოპოსი ინოკენტი სამღვდელოებით და გუბერნატორი. ყოვლად სამღვდელო დარჩება აქ ეპისკოპოსის ამბროსის დასაფლავებამდე.

მოსკოვი. მოსკოვის ქალაქის თავმა დიუნკირხენის მერისაგან მიიღო შემდეგი პასუხი თვის დეპეშაზე: «ჩემი ამხანაგები და მე ძრიელ გაგვახარა თქვენმა მეგობრულმა სალამმა ქალაქ დიუნკირხენისა და საფრანგეთის მიმართ· აღტაცებით ვეგებებით ხელმწიფესა და დედოფალს და ვუცხადებთ მათ ცხოველს სიმპატიას, როგორც წარმომადგენელთ კეთილ-შობილის ერისას. გაუმარჯოს ფრანგ-რუსთა კავშირს, გაუმარჯოს მოსკოვს.“

ექვსს სექტემბერს ინგლისის ეკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი მაკ-კინლეის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივი მთავრობა და კონსულები.

პენზა. გადამწვარი ქალაქი თან და თან შენდება. მუშა ხელის დიდი ნაკლებობაა, ცოტანი არიან დურგლები და კალატოზები.

7 სექტემბერი

ლონდონი. კიტჩენერი დეპეშით იტყობინება პრეტორიიდან: „მაიორმა გუგმა სამი როტით და სამის ზარბაზნით დაზვერა ადგილი უტრეხტის სამხრეთით და შეამჩნია 300 ბური. ინგლისელები ცხენებიდან ჩამოვიდნენ და გაიქცნენ იმ გორაკისაკენ, რომელიც ბურებს დაჰყურებდა. ბურების მოძრაობა დამყარებული იყო ხერხიანობაზე; ისინი თავს დაეცნენ გუგს მარჯვენა მხრიდან; ბევრი მათგანი ჩასაფრებული ყოფილა და ცხარე ბრძოლის შემდეგ აჯობეს ინგლისელებს. ინგლისელებს მოუკლეს 4 ოფიცერი და 14 ჯარის კაცი, დაუჭრეს 5 აფიცერი და 25 ჯარის-კაცი, ტყვედ წაიყვანეს 5 აფიცერი და 150 ჯარის კაცი. ფრენჩი იტყობინება, რომ სმუტს განზრახვა ჰქონდა გზა გაეკაფა ელანდრივერისაკენ. ინგლისელთაგან მოკლულია 3 აფიცერი და 20 ჯარის კაცი, დაჭრილია ჯარის უფროსი და 30 ჯარის-კაცი. ინგლისელები მამაცად იბრძოდნენ, ისინი შეცდომაში შეიყვანა მტერმა ინგლისურ კასკებით. ბოლოს ბურები უკუ აქციეს».

ფრიდენსბორგი. ბრიტანიის მეფე და დედოფალი ორშაბათს ნაშუადღევის 1 საათზე წავლენ აქედან.

რეიმსი. აღლუმი საუცხოვო სანახავი იყო. სროლა შესანიშნავი იყო. ვიტრიზე იერიშის მიტანა მეტად ხელოვნურად იქმნა შესრულებული. ვიტრის დამცველნიც მამაცურად იბრძოდნენ. ქ. რეიმსი დიდის გემოვნებით არის მორთული. „სატრიუმფო» თაღები მორთულია ყვავილებით და მცენარეულობით; ზედ რუსულად აწერია: „მშვიდობიანობა“, „კავშირი“, „პეტრე დიდი“ და სხვა.

რეიმსი. რუსეთის იმპერატორი და დედოფალი რეიმსში მოვიდნენ. ენით არ გამოითქმის ხალხის აღტაცება. არასდროს, არც ერთი ერის ისტორიაში არა ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ უცხოეთის ხელმწიფე-დედოფალს ასე აღტაცებით მიჰგებებოდეს მთელი ერი, მილიონი კაცი, ქალი და ბავშვი· კომპიენის სასახლე· მშვენიერ ადგილას სდგას; ერთის მხრით ქალაქს დაჰყურებს, მეორეს მხრით დიდ ტყეს. რუსეთის იმპერატორსა და დედოფალს დიდი სადგომი უჭირავთ. 40 ფანჯარა აქვს ამ სადგომს. საფრანგეთი ბედნიერია მით, რომ უავგუსტოესი სტუმრები ეწვივნენ, ამიტომ, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ეცადა, რომ ეს სადგომი იმპერატორისა და დედოფლის საკადრისად მოეწყო. ყველა გამართულობას ისტორიული ხასიათი აქვს, სულ მე-XVIII საუკუნის დასასრულისა და პირველი იმპერიის დროისაა. ესევე ითქმის იმ დიდ დარბაზზედაც, საიდანაც მშვენიერი მთები მოსჩანან. აქ უწინ ნაპოლეონ I კაბინეტი იყო გამართული. მშვენივრადაა მოწყობილი აგრეთვე მისაღები დარბაზი, სადაც უწინ ლუი XVI საწოლი იყო გამართული. ყველა ოთახი საოცრადაა გამართული, ყველგან შესანიშნავი სურათებია, დიდ ყურადღებას იქცევს გათქმული მხატვრის ჟიროდის ოთხი ალეგორიული სურათი: ეს სურათები წარმოადგენენ ომს, სიმართლეს, ძალას და მჭევრ-მეტყველებას. ეს სურათები სამუშაო კაბინეტს ამკობენ. ლუი XVI დარბაზის კარებზე დახატულია მეფე ჰენრი IV, ლუი XIII და ლუი XV სურათები. ეს სურათები სავაჟოს დახატულია. ნაკლებ არაა მორთული ორი სხვა დარბაზიც; ერთი ცის-ფერია, მეორე ვარდის ფერი; კედლებზე აბრეშუმის სქელი ქსოვილებია გაკრული. ამას გარდა ეს დარბაზები მორთულია შესანიშნავის ხალიჩებით. რაც კი ამ დარბაზებში ავეჯი და სხვა ნივთია—სულ მშვენიერი ხელოვნების ნაწარმოებია; ამათში ყველაზე ძლიერ მოსაწონია ბრინჯაოს საათი. ამ საათზე ნაპოლეონ I ქორწინებაა სიმბოლიურად გამოხატული.—დღეს დილით, $8^1/_2$ საათზე, მათი უდიდებულესობანი, მინისტრებისა და გენერლების თანხლებით ფრენუაში წავიდნენ საფრანგეთის ჯარის აღლუმზე დასასწრებლად. აქ დიდი აღუმი მოხდება. 150,000 ჯარის კაცი მიიღებს ამ აღლუმში მონაწილეობას. ვიტრის სიმაგრესთან ვაკე გორაზე იმპერატორისათვის დიდი კარავი დასდგეს. აქედან იმპერატორს შეუძლიან ჯარის მოქმედებას უცქიროს. გენერალისიმუსი ბრიუჟერი. შესანიშნავად უფროსობს ამ ჯარებს. ეს პირველი მაგალითია, რომ აღლუმში 150,000 ჯარის კაცი იღებდეს მონაწილეობას. ამოდენა ჯარის ერთ ადგილას შეკრება მით უფრო შესანიშნავია, რომ რკინის გზებზე ჩვეულებრივი მიმოსვლა არ მოსპობილა, როცა ეს ჯარები რეიმსში მოჰყავდათ. ეს საოცარი სანახავი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. საფრანგეთის ჯარებმა დიდი შნო გამოიჩინეს. ძალიან ამტანი ჯარი ყოფილა და დისციპლინაც მშვენიერი ჰქონია.. სამის საათის განმავლობაში ხელმწიფე იმპერატორი მთავარი შტაბის საგანგებო რუქას საშუალებით თვალ-ყურს ადევნებდა აღლუმს. ხან-და-ხან საფრანგეთის სამხედრო მინისტრიც უხსნიდა აღლუმის ვითარებას. ნაშუადღევს 1 საათზე ვეება კარავში იმავე ვაკე-გორაზე საუზმე გამართეს; საუზმეს მინისტრისა და გენერალ-ისიმუსი ბრიუჟერისა, მრავალი ოფიცრების გარდა, დაესწრო ეგრეთვე სამხედრო აგენტი ლაზარევი, მინისტრი გრაფი ლამზდორფი და ელჩი თავადი ურუსოვი. ნაშუადღევის 2 საათზე რუსეთის იმპერატორი და დედოფალი ღია ეტლით რეიმსში წავიდნენ. მათი უდიდებულესობანი ჯერ ქალაქის გამგეობაში წავიდნენ და შემდეგ ტაძარში და მთელი ერთი საათი ამ ტაძარს ათვალიერებდნენ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. ამერიკელები უსაყვედურებენ პოლიციას, როგორ ყურადღება ვერ მიაქციეთ, როგორ აზრზე ვერ მოხვედით, როცა დაინახეთ, რომ ჩოლგოსს ხელი ჰქონდა შეხვეულიო. პოლიცია ასე იმართლებს თავს: სამუსიკო დარბაზში, სადაც მკვლელობა მოხდა, დიდძალი ხალხი შეიყარა და ამიტომ მეტად ცხელოდათ. ყველას ხელსახოცი ეჭირა და პირისახეზე ოფლს იწმენდავდათ. ჩვენ გვეგონა, ჩოლგოსსაც სხვებსავით ოფლის მოსაწმენდად უჭირავს ხელსახოციო.

☼ ევროპის გაზეთებს აცნობინებენ ამერიკიდან, ვითომ შეერთებული შტატების მთავრობას გადაუწყვეტია კლივლენდში მცხოვრები ანარქისტები—ყველანი სამართალში უნდა მიეცნენო, რადგანაც ჩოლგოსი ამათი საზოგადოების წევრი იყოო. ამერიკელ გამოჩენილ იურისტს მილბორნს—ამის სახლში იწვა დაჭრილი პრეზიდენტი—უთქვამს: ჩოლგოსის მოქმედება შეთქმულობის შედეგი იყოო. 1896 წ. ჩიკაგოს ანარქისტების საქმეზე სასამართლომ დაადგინა: ყველა შეთქმული თანასწორად დამნაშავეაო. კლივლენდის ანარქისტთა საზოგადოება იმ აზრით იყო დაარსებული, რომ თავისი მოძღვრება გავრცელებინა. ეს საზოგადოება ქადაგებდა: მუშებმა სოციალური რევოლიუცია უნდა მოახდინონ, მთავრობის წარმომადგენლები უნდა გასწყვიტონ, ჯარი მოსპონო; სხვა და სხვა სახელმწიფო არ უნდა არსებობდესო, ყველა კაცი ცარიელი სიტყვით კი არა, ნამდვილად თავისუფალი უნდა იყოსო და კიდევ ათასნაირ ამისთანა უცნაურ აზრსა. ამნაირი საზოგადოების წევრი იმდენადვე დამნაშავეა რამდენადაც დამნაშავეა ისა, ვინც ამ უცნაურ აზრების ასრულებას მოინდომებსო. ამიტომ იურისტები ირწმუნებიან: საჭირო არცკია, რომ ყოველთვის დამნაშავე კაცი მოვძებნოთო. ბოროტ-მოქმედების პასუხი მთელ იმ საზოგადოებას უნდა მოვსთხოვოთ, რა საზოგადოებასაც დამნაშავე ეკუთვნოდაო. ანარქისტთა საზოგადოება ცდილობს, ეხლანდელი წეს-წყობილება დაამხოს, შრომით ნაშოვნი ქონება და კაპიტალი ყველას თანასწორად გაუყოს, თანაც იმ აზრისაა, რომ ყველა ეს ძალით უნდა მოახდინოს ხალხმაო. მართალია, ამერიკის კანონის ძალით ყველას სრული უფლება აქვს, როგორი აზრიც უნდა გამოთქვას და დაწეროს, მაგრამ შეთქმულობის გამართვა კი ამ აზრების განსახორციელებლად აკრძალულია. ამიტომ იურისტების აზრით ანარქისტების ყოველი საზოგადოება უკანონოა. ამავე კანონის ძალით ჩოლგოსის საქმეზე ემმა გოლდმანი დაიჭირეს. ეხლა ნაფიცთა სასამართლომ უნდა დაუმტკიცონ, გოლდმანი და სხვა თანამოზიარეები უკანონო საქმის ასრულებას ცდი-

---

ობა არ გამოჰპარვია ბ-ნს პასილის და ზემოთ ნახულს მის თვალში ერთი ასად ემატება სიმშვენიერე და ღირსება. ბაქოს ნავთის-წყაროების და ამ ქალაქში მოტრიალე სიმდიდრის აღნიშვნის შემდეგ იტალიელი მოგზაური ბრუნდება ჩვენს დედა-ქალაქ ტფილისში, სადაც ასე თუ ისე ეცნობა ჩვენს შინაურ ცხოვრებას და თავისს შთაბეჭდილებას მკითხველს უზიარებს.

ტფილისში ბ-ნი პასილი უწინარეს-ყოვლისა ყურადღებას აქცევს ვაჭრობას და აღნიშნავს, სხვა მის წინა-მოადგილე მოგზაურთაგან არა ერთხელ აღნიშნულს ფაქტს: სომხების ხელში ვაჭრობის კონცენტრაციას, სომეხთა და ქართველთა შორის ატეხილ უსწორო ეკონომიურს ბრძოლას. ეს ბრძოლა,—განაგრძობს მოგზაური,—როგორც მითხრეს, ეროვნულ ბრძოლად გადაიქცაო. და თან სამართლიანად შენიშნავს: როგორ შეუძლიათ ქართველებს ეკონომიურად ეომონ სომხებს, როცა ვაჭრობაში ნაბიჯის გადადგმა არ ეტყობათ, როცა მათში მრეწველობის მიმდევარი თითზე ჩამოსათვლელნი არიანო! აღნიშნავს აგრეთვე ჩვენს დაუდევრობას, რომლის წყალობით ჩვენს ავალ დიდებას, მამულ-დედულს წინ-დაუხედავათ ჩვენის მეზობლების ხელში ვყრით.

ჩვენი მოგზაური მეტად პესიმისტურის აზრისაა ჩვენის თავად-აზნაურობის შესახებ. შიშსა ჰგვრის ჩვენი თავადიშვილი: ზარბაზნის გარდა ყოველ-გვარი საომარი იარაღი ზედ ასხია და ყოვლადის სიადვილით იღებს ქარქაშიდან სატევარს, სცლის რევოლვერსაო... შიშისაგან ისე გასდიდებია თვალები, რომ ჩვენებური კოხტა თავსაბურველი ფაფანაკი საომარ იარაღად მოსჩვენებია. როცა ქართველ თავადიშვილს რევოლვერში პატრონები სულ გამოელევა, მოიხსნის ფაფანაკს და შურდულად აქცევს და მტერს ისე იგერიებსო. არ ვიცით, შეიძლება ერთ დროს ეს დანიშნულება ჰქონდა ჩვენებურს ფაფანაკს, მაგრამ დღეს არამცთუ საომარ იარად არავინ ხმარობს, თავის დასაფარავადაც არავინ ატარებს—თითო ოროლას თუ შეხვდებით, ისიც დასავლეთ საქართველოში. ჩვენის თავადიშვილის მეომრულს ინსტიქტს უარს არავინა ჰყოფს, მაგრამ ჯერ ის კი არავის გაუგონია, რომ სარდაფში ქართველი თავადიშვილი ღვინოსა ჰყიდდეს და მუშტარს ხელზე ემსახურებოდეს, და ამას ბ-ნი პასილი მოგვითხრობს. ერთს სარდაფში შევედი და ჩემის თვალით ვნახე, რომ თავადიშვილი ემსახურებოდა ხალხსაო, ყველანი „კნიაზს“ ეძახოდნენო. ჩვენა გვგონია, ალბად, ჩვენს დასამცირებლად ჩვენის აუგის მოყვარე თარჯიმანმა გააცნო მოგზაურს სომეხი სირაჯი ქართველ თავადიშვილად...

ყველაზე მეტად საკვირველად ის მიმაჩნია,—განაგრძობს მოგზაური, რომ ამ მეომარმა და თოფ-იარაღში ჩამჯდარმა ხალხმა, რომელიც სხვა ყველა ხელობას, რასაც ბრძოლასთან კავშირი არა აქვს, თითქმის ზიზღით უყურებს, რომელიც თავის ისტორიის თექვსმეტ საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებლად სცხოვრობდა და თავისუფლება სულს ერჩივნა, ხელი როგორ აიღო ამ თავისუფლებაზეო! ამ საკითხის ასახსნელად მოკლედ მოგვითხრობს ჩვენს ისტორიას, ქრისტეს შობამდე სამის საუკუნით ადრე დაწყებულს, რომელსაც აგრე აბრწყინებენ სამთა დიდებულ გვირგვინოსანთა სახელნი: დავით აღმაშენებელისა, თამარ მეფისა და ერეკლე მეორისა. მე-XV საუკუნიდან საქართველოს ბედი უკან-უკან მიდის. თვით სახელოვანმა ერეკლემ ვერ შესძლო მისი ფეხზე დაყენება. ქრისტეს სჯულის მტერთაგან შეწუხებული გვირგვინოსანი იძულებულ იქმნა შველის სათხოვნელად თავის ერთმორწმუნე რუსეთისათვის მიემართნა, ხელშეკრულების ძალით, ამ სამსახურის სამაგიეროდ რუსეთის მეფის უფროსობა აღეარებინა. გიორგი XII სიკვდილს მისთა შვილთა შორის შინაური განხეთქილება და დაუძლურება მოჰყვა, და ყოველივე ეს იმით გათავდა, რომ რუსეთი სრულიად, სისხლ დაუღვრელად, დაეპატრონა საქართველოსაო.

ასე მოუთხრობს ბ-ნი პასილი მოკლედ თავისს მკითხველებს ჩვენს ისტორიას. საქართველოს ისტორიის ამ საუკეთესო მომენტის და მის შედეგის შესახებ ბევრი რამ შეეძლო გაეზიარებინა თავის თანამემამულეთათვის, მაგრამ ზემონათქვამს-ღა სჯერდება.

ქართველთა გამოფხიზლება და გონებრივი მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, სწერს ბ-ნი პასილი. ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელად და მეთაურად თავადი ილია ჭავჭავაძე ითვლება. ქართველებს ი. ჭავჭავაძე თავიანთ მარგალიტად მიაჩნიათ, რადგან ის არამცთუ მათი უდიდებულესი რომანისტი და პოეტია, არამედ თავისის განათლებით და ეკონომიუ-

ლობდნენ და ჩოგლოსის ბოროტ-მოქმედება ამ საერთო შეთქმულობის შედეგი იყოო. 1896 წელს ჩიკაგოში რომ ანარქისტებმა უუმბარა გაისროლეს, იქ ბევრი ანარქისტი არ დასწრებია, მით მაინც ესენიც კი დამნაშავედ იცნეს და დასაჯესო. მილბორნს უთქვამს, მთავრობაც ამ აზრისააო.

✿ გაზ. «როსსია»-ს წერენ ლონდონიდან: დილის 8 საათზე აქ ამბავი მოვიდა მაკ-კინლეი გარდაიცვალაო. ეს სამწუხარო ამბავი ხეჯად მთელ ქალაქს მოეფინა. შუადღის დროს ამერიკის საელჩო ისევ დიდ-ძალი ხალხით გაივსო. ბევრგან სახლებზე ამერიკის ბაირაღები გაშალეს. ბირჟა გლოვის ნიშნად შავად შეიმოსა და ბირჟის კომიტეტის დადგენილებით, დღეს აღარ ისაქმებს.

✿ ახალ პრეზიდენტ რუზველტზე გაზეთებში ჯერ საყურადღებო ცნობა არა დაბეჭდილარა. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რუზველტი მაკ-კინლეიზე უფრო გაბედული, მხნე კაციაო. ახალი პრეზიდენტი ჩამომავლობით ჰოლანდიელი ყოფილა.

საფრანგეთი. გაზეთები იუწყებიან: ამ დღეებში ახალი პოლიტიკური დასი დაარსდა. ამ დასმა «რესპუბლიკელ-დემოკრატების კავშირი»-ს სახელი დაირქვა. მის თავმჯდომარედ სამეცნიერო აკადემიის წევრი და მადნების უმაღლესი ინსპეკტორი ადოლფ კარნო აარჩიეს. დასმა პროკლამაცია გამოსცა და გამოაცხადა:

ჩვენი საგანია «რესპუბლიკელთ-დემოკრატების» დასი შევადგინოთ; ვალდეკ-რუსსომ ტულუზაში სთქვა: «ამისთანა დასი საჭიროა ჩვენთვისო. ეს დასი თავდაჭერით უნდა იქცეოდეს და ამასთანავე რეფორმებსაც გულწრფელად ემსახურებოდეს, პროგრესისა არ ეშინოდეს და ყოველთვის წინ მიდიოდეს. მაგრამ უკიდურეს რეფორმებსაც უნდა ერიდებოდეს და ხალხს ისეთ არას ჰპირდებოდეს, რისაც ასრულება არ შეუძლიან. დასი ნამეტნავად სოციალურ და ეკონომიურ საქმეებს მიაქცევს ყურადღებას. ზოგიერთი დასივით, მარტო პოლიტიკით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. ამას გარდა, ახალი დასი თავისუფლებასა და საერო სახელმწიფოს უფლებას უნდა იცავდეს და ებრძოდეს იმ პოლიტიკოსებს, ვინც ამ თავისუფლების სახელით ასე მოხერხებულად ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკი მომხრეებს».

✿ «დეილი ქრონიკლ»-ის რომაელი კორესპონდენტი სწერს: პაპის არ მოსწონს, რომ ბერები ახალ კანონს არ ემორჩილებიან. პაპი მისწერს თავის ელჩს პარიზში, რომ კრებულები ახალ კანონს დაემორჩილნენ და ყველაფერი, რასაც კი ეს კანონი თხოულობს, შეასრულონო.

სამხრეთ-აფრიკა. მკითხველმა იცის, რომ ლორდ კიტჩენერმა პროკლამაცია გამოსცა და მებრძოლ ბურებს გამოუცხადა: ვინც 15 სექტემბრამდე (ახ. სტ.) მორჩილებას არ გამოაცხადებს, სამხრეთ-აფრიკიდან გაიდევნება და ქონება ჩამოერთმევაო. 2 სექტემბერს ეს ვადა გავიდა. ეხლა ყველა, თვით იმპერიალისტების გაზეთებიც კი დარწმუნდნენ, რომ კიტჩენერის პროკლამაციამ არ გასჭრა, სრულებით ვერ იმოქმედა ბურებზეო. ამ ერთი თვის წინად კი ეს გაზეთები ირწმუნებოდნენ, პროკლამაცია ბოლოს მოუღებს ომსაო. «დეილი ნიუს»-ი იხსენიებს, 14 თვის წინად, ლორდ რობერტსმაც პროკლამაცია გამოსცა და ომი გათავებულად გამოაცხადა, მაგრამ იმის პროკლამაციამაც იოტის ოდნადაც არ იმოქმედა ბურებზეო.

ახალი ამბავი

◆ ჩვენ მოგვივიდა დასაბეჭდად შემდეგი ცნობა: ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის და მაზრის თავად-აზნაურობის მარშლები ატყობინებენ ხსენებულ გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ მათ, როგორც მასპინძლებს, არ მიუვათ განსაკუთრებული მიპატიჟების ბარათები 25—28 სექტემბრის რიცხვებში განზრახულ საიუბილეო დღესასწაულებზე დასასწრებლად. ვისაც ჰსურს დაესწროს ამ დღესასწაულებს, უნდა განუცხადოს ეს თავისი სურვილი მაზრის თავად-აზნაურობის მარშალს.

◆ 30 სექტემბერს ტფილისში მოხდება **კავკასიის ექიმთა კრება.** სამშაბათს, 11 სექტემბერს, მოხდება სხდომა იმ კომიტეტისა, რომელსაც მინდობილი აქვს საერთო კრების მოწყობის საქმე.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ. ზავადსკის განკარგულებით, 4, 5 და 6 ამ თვეს სააბრეშუმო სადგურის დადგომში მოხდა სოფლის იმ **მასწავლებელთა კრება**, რომელნიც განაგებენ სხვა და სხვა რაიონებში სამეურნეო განყოფილებებს. კრებამ, რომელიც გაიხსნა ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის კ. ი. პერევოზნიკოვის თავმჯდომარეობით, ერთხმად აირჩია მდივნად ბ. ზაალიშვილი და შეუდგა მზრუნველის ბ. ზავადსკის მიერ წამოყენებულ შემდეგ კითხვების განხილვას: 1) შესაძლებელია თუ არა მეურნეობის გავრცელება ხალხში სკოლების დახმარებით; 2) რა მდგომარეობაშია ამ ჟამად სამეურნეო განყოფილებები სასოფლო სკოლებში; 3) რა საშუალება უნდა იქნეს შემოღებული, რომ სოფლის სკოლებთან არსებულ სამეურნეო განყოფილებებმა უფრო მეტი სარგებელი მისცეს და ჯეროვანი გავლენა იქონიოს სოფლის ხალხზე; 4) რაში უნდა გამოიხატოს ხალხის სარგებლობა ამა თუ იმ მეურნეობის დარგის პრაქტიკულ და და თეორეტიკულ სწავლების შემოღებისა სასოფლო და სამოქალაქო კოლებში; და 5) რა დანიშნულება აქვს სკოლებში სამეურნეო საგნების სწავლებას სკოლის ნამდვილ დანიშნულებასთან?. დასასრულ რა აზრი შეუძლია შეადგინოს მცოდნე პირმა სკოლების მიერ გამოფენილ ექსპონატების შესახებ.

◆ ბრიუსელიდან მოსულ ცნობებით, ტფილისის ტრამვაის დირექტორად დაინიშნა ინჟენერი **რაგოლერი**; ბლანშს-კი მიენდო ფუნიკულერის გაკეთების გამგებლობა.

◆ ტფილისის კადეტთა კორპუსის სამღვთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი ალექსანდრე იაკობის ძე მანსვეტოვი 16 სექტემბერს დღესასწაულობს თავისს მღვდლობის **50 წლის იუბილეს.**

◆ ორშაბათს, 10 სექტემბერს, ტფილისის **ქალაქის საბჭოს** სხდომაზე განსახილველად დანიშნულია ის საქმეები, რომელნიც საბჭოს 3 სექტემბრის სხდომაზე დარჩა განუხილველი.

◆ **სახალხო წარმოდგენების** სადგომში ავჭალის ქუჩაზე, პირველი სახალხო წარმოდგენა და კითხვა დანიშნულია 16 სექტემბრისათვის.

◆ კავკასიის **საიუბილეო გამოფენის** კომისარიატმა გამოითხოვა საორგანიზაციო კომიტეტისაგან დამატებითი ხარჯები: 600 მანეთი პოლიციელების დასაჯილდოებლად და 4000 მანეთი გამოფენის განათებისათვის.

◆ აქამდე კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **გამოფენაზე** ყოფილა სულ 261 მოსწავლე სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა.

◆ ბათუმის საქალაქო მმართველობას ნება მიეცა აღებულ 600 ათას მანეთის სესხისაგან 119,855 მოახმაროს **საქალებო გიმნაზიის შენობისა და საბაზრო სადგომების აგებას.** რაც შეეხება ტრამვაის გაყვანის საქმეს, სამინისტრო ურჩევს ქალაქს თვით მოჰკიდოს ამას ხელი და არ გადასცეს კონცესსიონერებს.

◆ ბათუმში განზრახულის **საჯარო წიგნთსაცავის** პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანვე დაუბრუნებია მოთავეეთათვის ზოგიერთ ცვლილებათა მოსახდენად. პროექტი დამტკიცებული იქმნება, როგორც-კი მოხდენილ იქმნება სამინისტროს-მიერ ნაჩვენები ცვლილებანი.

◆ როგორც გადმოგვცეს, დ. **ხონის მარიამის საქალებო სკოლაში** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დაუნიშნავს პირველ სექტემბრიდან ხელ საქმის მასწავლებლად ან. სპირ. ქუთათელაძის ასული, რომელსაც წელს დაუმთავრებია პეტერბურგში ხელ-საქმის კურსი.

◆ დ. თიონეთიდან გვწერენ: „24 აგვისტოს თიონეთში სცენის მოყვარეთა დასმა, ქ-ნ ტასო აბაშიძე—ყარალაშვილის მონაწილეობით თიონეთის სამკითხველოს სასარგებლოთ გამართა **ქართული წარმოდგენა.** წარმოადგინეს ცაგარლის ორ მოქმედებიანი პიესა „ბაიყუში“. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო“.

◆ დ. სამტრედიიდან გვწერენ: „4 სექტემბერს, 11 საათზე **გაუჩნდა ცეცხლი** თ. ნაკაშიძის პარკის სახმობ ფარდულს. პარკით სავსე ფარდული სულ ერთიან გადაიწვა. ზენა ქარისაგან წაღებულმა ცეცხლმა ორი მოსახლე კაცი კიდევ დაწვა. ზარალი ერთობ დიდია“.

◆ ამ მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან დაიწყება **საჯარო ვაჭრობა** ყარაიაზში კარა-ტაპას 2000 დესეტინა სახნავ-სათესი და 10,000 დესეტინა საძოვარ ადგილების იჯარით გასაცემად. ყოველივე დაწვრილებითი პირობანი და ცნობები აღნიშნულ მამულების საიჯაროთ აღების შესახებ მსურველებს შეუძლიანთ გასინჯონ ყოველსაქმე დღეს მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის კანცელარიაში, დილის 8—9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე.

◆ ამიერ კავკასიის **რკინის-გზის სამმართველომ** ამ დღეებში გამოსცა შემდეგი ცირკულიარი: ჩვენამდე ამბავი მოვიდა, რომ რკინის-გზის სადგურების მგზავრების სადგომებში იმ დროს, როცა მგზავრები მატარებლის მოლოდინში არიან, ხშირად რკინის-გზის მოხელენიც იქვე ადგილს იკავებენ და ამით მეტად ავიწროებენ ხალხსაო. ამ ნაირ შემთხვევის დროს მოხელეთ აღკრძალული აქვთ სახალხო სადგომებში ადგილის დაკავება. ამიტომ სამმართველო უმეორებს სადგურის უფროსებს, რომ აღსრულებულ იქმნას ამის შესახებ გამოცემული წესი და თუ ვინიცობაა ვინმე მის დარღვევაში შენიშნული იქმნა, სასტიკად იქმნებიან დასჯილნიო.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** 6 სექტემბერს დასრულდა ხელმეორედ დანიშნული ეგზამენები და 7 სექტემბრიდან სწავლა დაიწყო.

◆ ოფიციალურის ცნობებით, ტფილისში 23 აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე 13 კაცი გამხდარა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით**; მათგან: ქუნთრუშით—8 (ერთი კიდეც გარდაიცვალა), წითელათი—1, ყელ-პირვებით—1, ხუნაგით—2 და დიფტერიტით—1.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება მისცა **ახალქალაქის** თვით მმართველობას დახარჯოს ქალაქის საშუალებიდან 2000 მ. საყასპოებისათვის.

◆ გუშინ სხდომა ჰქონდა ტფილისის **საქალაქო სკოლების** გამგე კომისიას ხსენებულ სკოლებისთვის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად, მაგრამ, რად-

---

რის კითხვების ზედმიწევნილის ცოდნით დიდი სამსახური გაუწია თავის თანამემამულეებსაო. მან დააარსა და აღაყვავა ქართველ თავად-აზნაურთა ბანკი და მხოლოდ მის შეცადინეობით აგებულ იქმნა ქართული თეატრიო. ქართულ თეატრის ხსენებაზე მოგზაური იხსენიებს აგრეთვე ამ თეატრის სულის ჩამდგმელს, ჩვენს პირველსა და თვალსაჩინო დრამატურგს თავ. გ. ერისთავს.

ქართულ ლიტერატურის უდიდესი ძეგლი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“-ა, თამარ მეფის დროს დაწერილი, რომელშიაც პოეტი აღმოსავლეთის საზოგადოებაში მყოფ ქალს ექომაგება და მისთა უფლებათა იცავსო. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის წარმომადგენლებად სთვლის ჩვენის ლიტერატურის კორიფეებს თ. თ. აკაკი წერეთელს და ილია ჭავჭავაძეს. მკითხველთ მოუთხრობს მოკლე ისტორიას, თუ რა აღმზრდელი და გამომაფხიზლებელი გავლენა იქონია ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანმა?“ ჩვენს ღრმა-ძილში გახვეულ საზოგადოებაზე. გარდა იმისა, რომ ჭავჭავაძე ყოველდღიურ გაზეთს „ივერია“-ს უძღვება, თავის სახლში თავს უყრის საქართველოს რჩეულსა და მოწინავე საზოგადოებას და ცდილობს ყველას ხელოვნებისა და მწერლობის სურვილი ჩაუნერგოს გულშიო.

სამწუხაროდ, მოგზაური არაფერს ეუბნება თანამემამულეთ იმის შესახებ, თუ რა პირობებშია ჩვენის დანიშნულების ერთი აუცილებელი პირობათაგნი—სწავლა-განათლების საქმე. განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა აღენიშნა, თუ რა უკუღმართად მიდის ეს საქმე და რამდენი დამაბრკოლებელი მიზეზი ეღობება წინ. ეს მით უფრო საწყენია, რომ სხვა ევროპიელი მოგზაურებიც ამ მხარეს ჩვენის ცხოვრებისას გვერდს უხვევენ.

ჩვენს მოგზაურს თ. ილ. ჭავჭავაძე გაუცვნია და თავის შენიშნებს იმ სიტყვებით ათავებს, რომლითაც „გამოთხოვების და კავკავისკენ წასვლის დროს თ. ჭავჭავაძეს მიუმართავს იტალიელ სტუმრისათვის: „თქვენ დაინახავთ (საქართველოს სამხედრო გზაზე) კლდეებს, თოვლს, ნაკადულებს, რომელიც მიხეილ ლერმონტოვმა თავისს ლექსებში შეაქო; ყოველივე ნახული მოგხიბლავსთ, მაგრამ ჩემთვის კი მათ სრული თავიანთი მშვენიერება მანამდის არ ექნებათ, სანამ რომელიმე ქართველთაგანი რუსის პოეტს არ გადააჭარბებს ამ ბუნების ქების გამოთქმაში“.

ტფილისიდან კავკავის გზით დაბრუნებული დ-რი პასილი ქების სიტყვებს უძღვნის ჩვენის ქვეყნის ამ ნაწილის ბუნების მშვენიერებას, მოკლედ აღწერს მცხეთისა და ანანურის ტაძრებს, და წიგნში მათს სურათებსაც ურთავს.

—

დ-რ პასილის წიგნის გარდა იტალიაშივე (ქ. მილანში) ამ უკანასკნელ დროს გამოვიდა (წიგნაკებად) თხზულება რომის უნივერსიტეტის პროფესორის ბ. ანჯელო დე-გუბერნატისისა, რომელიც შეეხება დედამიწის მცხოვრებთა ჩვეულებათა და ჩაცმულობის აღწერას (I popoli del mondo. Usi et costumi. Per Angelo de Gubernatis. Milano). ამ თხზულების პირველ ტომში აწერილნი არიან აზიის ხალხნი და მათს შორის ქართველებიცა. ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ აღწევს მიზანს ავტორი ჩვენს შესახებ. „ქართველნიო (გულისხმობს საკუთრად ქართლ-კახეთის ქართველობას), —ამბობს—არისტოკრატიული, ფეოდალური, მამაცი, სტუმართ-მოყვარე, კოხტა და სიმპატიური ხალხიაო». თავის ნათქვამის დამტკიცებას სურათებითაც სცდილობს. ქართველის ტიპის წარმოსადგენათ აუღია მართლა მშვენიერის სახის ქართლელი თავადიშვილი, ქართულის კაბით მორთული. მისსავე გვერდით დახატულია ორი სპარსელი მეზურნე, სპარსელის ტანისამოსით და ქვეშ უწერია: „grusini-georgiani“ (ქართველები). მათ სახეზე დაჩაგრულობის და სიმხდალის მეტს ვერაფერს ამოიკითხავს ადამიანი. საკმარისია ოდნავ გადაავლოს თვალი ადამიანმა ორსავე სურათს, რომ დაინახოს სხვა და სხვაობა ამ ორის ანტროპოლოგიურის ტიპისა. მეორე ალაგას, საცა სვანების შესახებ აქვს ლაპარაკი ავტორს, ჩაურთავს სურათი ჯავახელებისა, რომელთაც თავზე თავიანთი ტრადიციონული, მთელის ცხვრის ოდენა ფაფახი ჰხურავთ, და რომელნიც სვანებად არიან გასაღებულნი. კიდევ ქვევით, იმერლები ცალკე ერადა ჰყავს აწერილი; ფშავ-ხევსურნი ქისტების ჯგუფს ეკუთვნიანო. თუ ამ შეცდომებს შევუნდობთ პატივცემულს ავტორს, მისი შრომა ჩვენს შესახებ სასარგებლოდ ჩაითვლება ჩვენის ქვეყნის ასე თუ ისე გასაცნობად.

თ. ს.

განაც საჭირო შეიქმნა ქალაქის სახელოსნო სკოლის ინვენტარის ცნობაში მოყვანა, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა გადაიდო შემდეგის სხდომისათვის.

◆ ტფილისის ცხენის რკინის გზის კონცესიონერთა წარმომადგენელმა კავკასიის გამოფენის შესახვევთან ელისაბედის ქუჩაზე უკვე გამართა ფარდული ხალხის გასაჩერებლად.

◆ **ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ.** თათრის მეიდანზე, სურფ-გეორქის საყდრის ოთახში სცხოვრობს ერთი ყოვლად გაჭირვებული ქ-ბ. ჯანდიერისა ორის პატარა შვილით. იმედია, ჩვენი საზოგადოება გულ-გრილობას არ გამოიჩენს და ცოტა რამ დახმარებას გაუწევს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, 6 სექტემბერს, ტფილისის მოქალაქეს ქვრივმა მარიამ ხეჩუმოვისამ განაცხადა, რომ მის შინ არ ყოფნის დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ღამით 5—6 საათ. მოჰპარა ფული და ნივთები სულ 146 მან· ეჭვი არავიზე არ აქვთ.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

3 სექტემბერს მოხდა 1-ლი სხდომა ქუთაისის საბჭოში ზაფხულის შემდეგ. პირველად საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობისა ხარებზე და კამეჩებზე გარდასახადის შესახებ. რამდენმამე ქუთაისელმა მეურმეებმა მიჰმართა კავკასიის მთავარ-მართებელს თხოვნით, რომლითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქი უკანონოდ ახდევინებს მათ გარდასახადს ხარებზე და კამეჩებზე. კანონის ძალით, ამბობენ მთხოვნელები, გარდასახადს უნდა იხდიდენ მხოლოდ ცხენების მესაკუთრენი, თუ კი ისინი თავის ცხენებს ეტლებში ანუ ურმებში აბმენ და სხვა და სხვა ტვირთს ზიდვენ. მთავარ-მართებელმა ეს თხოვნა გამოუგზავნა ქუთაისის გუბეუნატორს, და უკანასკნელმა ქალაქის გამგეობას. გუბერნატორი თავის მხრით გამგეობას სწერს, რომ ხარებზე და კამეჩებზე ქალაქისაგან შემოღებული გარდასახადი უკანონოა და გაუქმებულ უნდა იქნესო. ქალაქის გამგეობამ ამ გვარი განკარგულება გუბერნატორისა ვერ სცნო კანონიერად და ამ საგნის შესახებ წარუდგინა საბჭოს ვრცელი მოხსენება. მოხსენებაში გამგეობა ამტკიცებს, რომ კანონმდებელს აზრად ჰქონდა გარდასახადის შემოღება საზოგადოდ გადაზიდვა-გადმოზიდვაზე ცხენით იქნება ეს, ხარით, კამეჩით თუ სხვა საქონლით. თუ კანონში მხოლოდ ცხენები არის მოხსენებული, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთში ცხენებს უფრო ხშირად ხმარობენ ამ საგნისათვის. ყოველივე ამის მიხედვით გამგეობა ჰფიქრობს, რომ გუბერნატორის განკარგულება უკანონოა და საჭიროა იმის განსაჩივრება. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება.

შემდეგ ამისა საბჭომ მოისმინა მოხსენება გამგეობისა იმ ფულის დაბრუნების შესახებ, რომელიც ქალაქმა მიიღო ვითომ და შეცდომით საპატიმროების გასანათებლად. გამგეობის აზრით, დასაბრუნებელი ქალაქისაგან არა არის რა და საჭიროა კანონიერი ზომების მიღება. საბჭომ ერთხმად მიიღო მოხსენება გამგეობისა. მიიღო აგრეთვე საბჭომ მოხსენება ხორცზე ნიხრის დაკლების შესახებ და დაადგინა შემდეგი ფასები: გირვანქა პირველი ხარისხისა 9 კაპ. და მეორესა 8 კაპ.

სხვა განხილულ საქმეთა შორის საყურადღებოა განაჩენი საქალაქო საქმეთა საკრებულოსი მამულების ხელახლავ დაფასების შესახებ და გუბერნატორის წინადადება სამღვდელოების განკარგულებაში ქალაქის სასაფლაოს გადაცემის შესახებ. საბჭომ, რასაკვირველია, მიიღო როგორც სავალდებულო, საკრებულოს განაჩენი მამულების დაფასების შესახებ, მხოლოდ დაადგინა ამ განაჩენის სენატში განსაჩივრება. რაც შეეხება ქალაქის სასაფლაოს გადაცემას, საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რომ სასაფლაო დარჩეს ქალაქის ზედამხედველობის ქვეშ. საბჭო სამართლიანად ჰფიქრობს, რომ ქალაქი უფრო წარუძღვება ამ საქმეს, ვიდრე სამღვდელოება. სამღვდელოებას შეუძლია (კანონის ძალითაც) საფლავებისაგან შემოსული ფული სხვა რამე საჭიროებაზე დახარჯოს, მაშინ, როდესაც ქალაქი იძულებულია კანონის ძალით ყოველივე კაპეიკი საფლავებისაგან აღებული მხოლოდ სასაფლაოს მოახმაროს, კარგად მოაწყოს ის და მომავალში, თუ სულ არ მოსპობს, შეამციროს მაინც საფლავებზე გარდასახადი.

პრესსა

რუსულ ჟურნალ გაზეთებმა ამ ჟამად კვლავ დაიწყეს ლაპარაკი ერობის შესახებ. როგორც სწერენ, მთავრობის წრეებში ისევ აღძრულა საკითხი ერობის დაწესებულებათა რეფორმის შესახებ. ამის გამო ჟურნალ „ვესტნიკ ევროპ.“-ის უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია საინტერესო წერილი ნიკ. შიშკოვისა. ერობის მოღვაწეობის ისტორიის განხილვამ შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა ავტორი:

> „ერთ დროს შეძლებოდა გვეფიქრა, რომ ერთხელ და სამუდამოთ იქმნა აღიარებული ერობის საჭიროება, რომ ერობა ცნობილ იქმნა სასარგებლო სახელმწიფო დაწესებულებად, რომლის მოღვაწეობის შეზღუდვა ისეთივე მავნებელი იქნება სახელმწიფოსათვის, როგორც მავნებელი და საშიშია კუჭის მოქმედების შეფერხება ადამიანისათვის. შემდეგ-კი დადგა დრო, როდესაც მხოლოდ ერობის შეზღუდვის შესახებ ლაპარაკობდნენ; ასე რომ უთუოდ უნდა გვეფიქრა—დღეს-ხვალ ერობა სრულიად გაუქმებული იქნება. გაუხარდათ რეაქციონერებს ეს ამბავი და დაიწყეს ლოდინი, როდის გაუქმდება ერობაო; მაგრამ უეცრად საქმე ისევ იცვლება და ერობას რამე საყურადღებო საქმეს აბარებენ. ეხლა ერობის მომხრენი ეძლევიან სიხარულს; მაგრამ ესეც ამაოდ: სხვა და სხვა განკარგულება გვიმტკიცებს, რომ მთავრობას არა აქვს ნდობა საზოგადოებისადმი, რომ ის ისევ ჰფიქრობს ერობის მოღვაწეობის შეზღუდვის საჭიროებაზე. ერობა მოგვაგონებს ნიჭიერ ბავშს, რომელსაც მშობლები თავისუფლებას არ აძლევენ ბუნებრივად განვითარებისათვის; ხან თავის ნებაზე მიუშვებენ და აქებენ სწრაფლად განვითარებისათვის, ხან შეაჩერებენ და ცდილობენ ჩააგონონ, რომ ის ჯერ ბავშვია და უგუვერნიოროდ გაძლება არ შეუძლია. ამგვარი უსწორ-მასწორობა, ასეთი მოპყრობა ერთნაირად მავნებელია ბავშვისათვისაც და დაწესებულებისათვისაც: ბავშვიც და დაწესებულებაც ჰკარგავს რწმენას, არ იცის, რომელ გზას დაადგეს და რა იფიქროს, რა გააკეთოს. ამის მიზეზით ერობიდან გაიქცა ბევრი ნიჭიერი და ენერგიული მოღვაწე, რომელთაც არ იცოდნენ, რამდენად ხანგრძლივია ერობა. ვინც დარჩა ერობის სამსახურში, ისიც სასოწარკვეთილებას მიეცა და ხელგაუნძრევლად არის. აბა, როგორ უნდა იმუშაოს მან დაწესებულებაში, რომელიც ცოტაოდენ ნდობასაც მოკლებულია?!“.

სასამართლო

ზუგდიდის სოფლის საზოგადოების გლეხები დიმიტრი, მინა და დათიკო ჯანაშიები და სხვანი, 18 კომლი კაცი, 1863 წ. კამერალური აღწერილობით ჩაწერილი ყოფილან სოფელ ზუგდიდის, ხოლო 1886 წელს შედგენილ საოჯახო სიებით კი—დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებად, რის გამოც გარდასახადს იხდიდენ როგორც სოფლისა, ისე დაბის მცხოვრებნი. ორნაირი გარდასახადიდან განთავისუფლებისათვის გლეხებს 1893 წელს უთხოვნიათ ტფილისის სახაზინო პალატისათვის, რომ დაბა ზუგდიდის მოქალაქეებად ყოფილიყვნენ ჩაწერილნი. პალატას უარი განუცხადებია და ზუგდიდის მაზრის უფროსის შუამდგომლობით შეუტყობინებია, რომ მათ შეუძლიანთ დ. ზუგდიდის მოქალაქედ ჩაწერა მხოლოდ მაშინ, როცა ზუგდიდის სოფლის საზოგადოების ყრილობა განაჩენს დაადგენს საზოგადოებიდან მათის დათხოვნის შესახებ. იმ დროს ზუგდიდის მაზრის სამმართველოს მწერალს პლატონ ძაძვალას ძე კორდავას წინადადება მიუცია გლეხებისათვის, რომ ის მოუხერხებს საქმეს, თუ გასამსჯელოდ თითო მათგანი 15 მან. გარდაუხდის. გლეხები დათანხმებულან და რამოდენიმე ხნის შემდეგ კორდავასათვის მოუტანიათ სოფლის ყრილობის ორი განაჩენი, კორდავასათვის ამ დროსვე გლეხებს მიუციათ ხუთ-ხუთი მანეთი და შეჰპირებიან, თითო თუმანს საქმის დამთავრების შემდეგ მიიღებთო. კორდავას აღნიშნული განაჩენები 18 გლეხის თხოვნასთან ერთად გამოუგზავნია ერთის თვის შემდეგ ტფილისის სახაზინო პალატაში, რომელსაც მალევე უკან დაუბრუნებია ზუგდიდის მაზრის უფროსისათვის ადგილობრივ შესამოწმებლად. განაჩენები ხელმოწერილი ყოფილა 321 გლეხისაგან და შემოწმებული მამასახლისის პახულია გუბელაძისაგან. აღნიშნულ დადგენილების შემოწმების დროს ყრილობაზე აღმოჩენილა, რომ თხოვნები პალატაში გასაგზავნად აღნიშნულ გლეხების გაუგებრად დაუწერია დ. ზუგდიდის მცხოვრებს სოლომონ აშორდიას და წერის მცოდნე გლეხების მაგივრად ხელი მოუწერია ვიღაც დიტო როგავას: ზუგდიდის სოფლის საზოგადოებას სრულებით განაჩენი არ დაუდგენია მოხსენებულ 18 გლეხის საზოგადოებიდან დათხოვნის შესახებ. ჯანაშიას დათხოვნითი განაჩენი დაუწერია სოლომონ აშორდიას, ხოლო დანარჩენ 17 გლეხისა—პლატონ კორდავას. განაჩენებზე ხელმოწერილი ყოფილა ბევრ ისეთ პირთა მაგივრად, რომელთაც წერა კარგად სცოდნიათ და ამასთანავე ზოგიერთნი ხელმომწერელნი უკვე კარგა ხნის გარდაცვალებულნი ყოფილან მაშინ, როცა განაჩენი შეუდგენიათ; განაჩენებზე გლეხების მაგივრად ხელს აწერენ ბევრს ადგილს სოფელი ზუგდიდის მცხოვრებნი მიხეილ ნიკოს ძე კაკულია და მიხეილ ლოტარია; 17 გლეხის სახელზე შედგენილ განაჩენში 72 კაცის სახელი და გვარები ჩაწერილია ზუგდიდის სოფლის საზოგადოების სამართველოს მწერლის უშანგ შედანიას ხელით, რომელ ხელის მომწერთაგან 5 კაცი უკვე გარდაცვალებული აღმოჩნდა. გამოძიების დროს განაჩენების შემმოწმებელ მამასახლისს გუბელაძეს განუცხადებია, რომ ქაღალდები მან შეამოწმა ზუგდიდის მაზრის სასამართლოს მწერლის კორდავას წინადადებით, რომელსაც დაუჯერებია მამასახლისი, ვითომც ეს ქაღალდები მაზრის სამართველოსია და უნდა შეამოწმოს მამასახლისმა მაზრის უფროსის ბრძანებით. გამოძიებით, მოპოვებულ საბუთების ძალით პასუხის გებაში მიუციათ ქუთაისის გუბერნიის, ზუგდიდის მაზრის სოფ. კახათის მცხოვრებნი სოფლის მწერალი უშანგ პაპუას ძე შედანია, სოფ. ზუგდიდის მიხეილ ქუჩუას ძე ლოტარია, მიხეილ კაკულია, სოლომონ გვაჩიას ძე აშორდია, მაზრის სამმართველოს კანცელარიის მოხელე პლატონ კორდავა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ მათის ერთად შეთანხმებით და წინდა-წინვე მოფიქრებით 1893 წელს შეადგინეს ორი სოფლის საზოგადოების ყრილობის მაგიერი განაჩენები, რომლებითაც ვითომდა დათიკო ჯანაშიასა და 18 გლეხებს ნება მიეცათ საზოგადოებისაგან დაბა ზუგდიდში ჩაწერილიყვნენ მოქალაქედ. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს. დამნაშავედ უცვნია ყველა ბრალდებულნი და გარდაუწყვეტია პლატ. კორდავასათვის 8 თვით ციხეში დაპატიმრება; უშანგ შედანიასათვის—ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ერთის წლითა და 40 დღით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა; სოლომონ აშორდიასთვის 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება და მიხეილ ლოტარიასა და მიხ. კაკულიასათვის—ზოგიერთი უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 8 თვით გაგზავნა· ბრალდებულნი ოლქის სამოსამართლო განაჩენზე არ დათანხმებულან და განუსაჩივრებიათ საქმე ტფილისის სასამართლოს პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა გუშინ წინ, 6 სექტემბერს. პალატამ, მცირე ხნის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი კორდავა, ლოტარია, შედანია, კაკულია და აშორდია აღნიშნულ სიყალბის ჩადენაში და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 სექტემბერი.

კომპიენი. დუკე და რუსეთის მეფე-დედოფალი 8 საათზე წავიდნენ რეიმსში. ხალხი აღტაცებით აცილებდათ.

რეიმსი. საგანგებო მატარებელი მოვიდა სადგურ ფრენეზე 9 ს. 50 წამზე. დუკემ გააცილა დედოფალი ეტლამდე. დედოფალი ჩაბძანდა ეტლში თავის სტატს-დამასთან ერთად. იმპერატორი და დუკე მეორე ეტლში ჩასხდნენ ერთად. კორტეჟი დაიძრა ვიტრისაკენ, სადაც დანიშნული იყო დიდი აღლუმი.

რეიმსი. 5 საათზე მათი უდიდებულესობანი და დუკე დაბრუნდნენ ვიტრიდან და მივიდნენ მშვენივრად მორთულ-მოკაზმულ ქალაქის გამგეობაში. 6 საათ. მათი. უდიდებულესობანი და დუკე რეიმსიდან წავიდნენ კომპიენში.

რეიმსი. მათ უდიდებულესობათ და დუკემ ქალაქის გამგეობა დასტოვეს 5 ს. 25 წ. და ქალაქში გაისეირნეს. ქუჩები სავსეა აღტაცებული ხალხით. ქალები პატივისცემის ნიშნად ხელსახოცებს იქნევენ, კაცები ქუდებს, ბავშვები პატარა რუსულ დროშებს. როდესაც ეტლები ტაძარში მივიდნენ, დაიწყეს დიდი ზარის რეკა. კარდინალი ლანჟენიე სამღვდელოებით სადღესასწაულო სამოსელით შესავალის კარებთან მიეგება მეფე-დედოფალს. კარდინალი მიესალმა ავგუსტოეს სტუმრებს. ტაძარში შესვლისას დიდმა ორგანმა დაუკრა ხლოდვიგის მარში. კარდინალმა უჩვენა მათ უდიდებულესობათ ფეხშუმი წმინდა მირონით, წმინდა პატიოსანი ჯვრის ნაწილი და ქრისტეს გვირგვინის ეკალი. მეფე დედოფალმა დიდის ყურადღებით განიხილეს ეს საგნები. კარდინალმა წარუდგინა მათ უდიდებულესობათ ბერი სენტუა, რომელსაც იმპერატორმა ხელი ჩამოართვა და გაახსენა, რომ 1896 წელსაც პარიზის ღვთის-მშობლის ეკლესიაში გნახეო. ტაძრის დათვალიერება გათავდა 5 ს. 45 წ. ორგანმა აასრულა რუსეთის ჰიმნი და «მეუფეო, დაიფარე რესპუბლიკა», მათ უდიდებულესობათ ხელი ჩამოართვეს კარდინალ ლანჟენიეს და წავიდნენ სადგურზე. იქ ხელმწიფემ შენიშნა გენერალი ბრიუჟერი და გამოუცხადა თავისი გაკვირვება ჯარების მშვენიერ მდგომარეობის შესახებ. ხელმწიფე-დედოფალი და დუკე 6 ს. გაემგზავრნენ აქედან. ჯარებმა ზარბაზნები დასცალეს. მუსიკამ აასრულა საფრანგეთის და რუსეთის ჰიმნები.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მთა მადნის ინჟენერის ალექსანდრე მიხეილის ძის

მიხაილოვის და კო

ამხანაგობა ქუთაისის ქალაქის წყლის მილისა, ამით უცხადებს პაის პატრონებს, რომ ვალა ფულის მეორე შემოტანისა არის 10 სექტემბერს, 1901 წელს.

ხვედრი შემოსატანი 20 %, ე. ი 20 მანეთი თითეულ პაიზე მიიღება გამგეობის კანტორაში ქ. ტფილისს, ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი და ქ. ქუთაისს—წყლის მილის კანტორაში. (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ მისი თანადასწრებით 10 სექტემბერს, 12 საათზე საჯარო ვაჭრობა მოხდება: უნდა გაკეთდეს წყლის მილი ბეტონისაგან. მილიუტინის ქუჩიდან ალექსანდროვის ქუჩაზე, ბაქრაძის სახლამდე. წყლის მილს სიგრძე ექმნება 135,00 საჟ. და სიგანე 0,33×0,22 საჟ. ამ მილის გაკეთება 2450 მანეთადაა დაფასებული.

მსურველთ შეუძლიანთ პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ საქმე დღეს გასინჯონ, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.